KA030100615589414

№ 01-17286 **15** / ოქტომბერი / **2014** წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა
და რეჟიმის დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებლის
დავით ტორუას

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო დავით,

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის მიერ თქვენდამი მოწერილ 08.10.2014წ. №01-16848 მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ აღჭურვის მიზნით ებოლას შემთხვევების საიზოლაციო სისტემების (ერთი ერთეული იზოლატორი/პალატა და 2 ერთეული იზოლატორი/საკაცე) შესყიდვის საკითხს, მოგახსენებთ, რომ მიზანშეწონილად ვთვლით, სამინისტროს "ებოლას საწინააღმდეგო სტრატეგიული რეზერვის" შექმნის მიზნით, დამატებით შესყიდულ იქნეს:

1. სამედიცინო იზოლატორი/პალატა - 1 ერთეული;
2. გადასატანი სამედიცინო იზოლატორი/საკაცე - 4 ერთეული.

ამასთან ერთად მოგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული აღჭურვილობა, მისი შესყიდვის შემთხვევაში, იქნება სამინისტროს განკარგვის ქვეშ და მისი გამოყენება მოხდება საჭიროებების შესაბამისად, ებოლას შემთხვევების საწინააღმდეგო ღონისძიებების და ოპერატიული რეაგირების ძალების მობილიზაციის ფარგლებში.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს ზემოაღნიშნული სამედიცინო აღჭურვილობის შესყიდვისთვის საჭირო პროცედურების განხორციელება.

პატივისცემით,

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და
რეჟიმის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

დავით ტორუა